**თბილისი „დინამოს“ სტადიონი, 2 აპრილი.**
**„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგარდი) 2:0 (1:0).**
**„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, იამანიძე, დათუაშვილი, ბარქაია, ხუციშვილი, მაისურაძე.**
**„ზენიტი“: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, ბელიკოვი, ალამი, სადირინი, ზავიდონოვი, გუსევი, ნაუმოვი, ბურჩალკინი, ვასილევი.**
**მსაჯი: ი. ბოჭორიძე (ბილისი).**

„ზენიტი“ სულ ახლახანს ნახა ჩვენმა მაყურებელმა თბილისის საერთაშორისო ტურნირში. ნახა გუშინაც. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა ამ გუნდის მაშინდელ და ახლანდელ თამაშს შორის, ვინაიდან ლენინგრადელებმა მას შემდეგ ღია ცის ქვეშ ჩაატარეს წრთვნაც და საკონტროლო მატჩებიც და ამდენად მათი ახლანდელი სპორტული ფორმა და სიძლიერე სულ სხვაა.

სპარინგ–მატჩს „ზენიტთან“ ჰქონდა კიდევ ერთი საგანგებო მნიშვნელობა. ეს გუნდი „ა“ კლასის მუდმივი ბინადრის გარკვეულ ეტაპს წარმოადგენდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს პირველ წრეში ჩემპიონატის მოწინავე კოლექტივებს არ ეყოლებათ თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები, შეგვიძლია მათი საერთო ძალა დაახლოებით „ზენიტის“ დონეზე ვივარაუდოთ. ეტყობა, გათამაშების ეკვატორამდე ასეთ მოწინააღმდეგეებთან გვექნება საქმე. ამიტომ ლენინგრადელთა გუნდი ერთგვარ ფონს წარმოადგენს თბილისელთა საერთო მომზადების შესამოწმებლად.

დინამოელებმა პირველივე წუთებში ხელთ აიღეს თამაშის სადავეები, მათი ტემპი, შეუნელებელი, სწრაფი იერიშები მეტოქეს არ აძლევდა კონტრშეტევის განვითარების საშუალებას და სტუმრების ეპიზოდური გარღვევები მხოლოდ ბურჩალკინისა და ნაუმოვის ოსტატობაზე იყო აგებული. რამდენიმე გამოუყენებელი კარგი შესაძლებლობის შემდეგ პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა მაისურაძემ, რომელმაც კარგად დაასრულა დათუნაშვილის გადაცემა – 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპი საგრძნობლად დაცხრა, თავი იჩინა დაღლილობამ. „ზენიტს“ კიდევ ერთხელ მოუხდა ცენტრიდან თამაშის დაწყება მას შემდეგ, რაც იმავე მაისურაძემ საუკეთესოდ გამოიყენა ვოსტროილოვის შეცდომა (იგი გამოვიდა კარიდან) და თავს ზემოდან გადაუგდო ბურთი – 2:0.

**რ. ქორიძე**
**“ლელო” 3. IV. 66 წ.**